№ 219

პარასკევი, 24 ოქტომბერი, 1897 წ.

1877—1897

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

# ივერია

№ 219

პარასკევი, 24 ოქტომბერი, 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

პირველ ოქტომბრიდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია“ ჰღირს 3 მან. 50 კაპ.

## ქართული თეატრი

კვირას, 26 ოქტომბერს,
ქართულის დრამატიულის დასისაგან
წარმოდგენილი იქნება
პირველად განახლების შემდეგ

## გაქარცული ფოსტა

მელოდრამა 5 მოქმედებად, თარგმანი ვ. აბაშიძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი კარგარელისა, საყვარელიძისა, გარელი და სხვ. ბ-ნნი აბაშიძე, მესხი, გედევანოვი, გამყრელიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, მჭედლიშვილი, ადამიძე, კორინთელი, კარბელი, საფაროვი, გვარამაძე, აბრამოვი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი კ. მესხი

### მთავრობის განკარგულებანი

—

ებოძა სამსახურის წელთა შესრულებისა გამო ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებლის მდივნის თანაშემწეს ბროძელს—ტიტულიარნი სოვეტნიკობა.

## ახალი ამბავი

—

*** ხუთშაბათს, 23 ოქტომბერს, მოხდა კრება ქალაქის ხელოსანთა. კრებას უნდა აერჩია ხელოსანთა მოურავი. ამ კრებას დაესწრო ტფილისის გუბერნატორის მიერ გამოგზავნილი საგანგებო საქმეთა მოხელე თავ. ბებუთოვი, რომელსაც თვალყური უნდა ედევნებინა არჩევანებისთვის. თავ. ბებუთოვმა შეიტყო, რომ ხელოსანთა შორის ამქრებს ჯერ-ჯერობით 11 ახალი უსტაბაში აურჩევიათ და დანარჩენს 52 ამქარს ჯერ ისევ ძველი უსტაბაშები ჰყავთ. ამიტომ თავ. ბებუთოვმა სთქვა, რომ კანონის ძალით, ხელოსანთა მოურავის არჩევა იმ დრომდე არ შეიძლება, ვიდრე ყველა ამქრები ახალს უსტაბაშებს არ აირჩევენო და ორის კვირის ვადა მისცა ხელოსნებს უსტაბაშების ასარჩევად. ზოგიერთებმა სთქვეს, ეს დრო ძლიერ ცოტა არისო. მაშინ ბ-ნმა ბებუთოვმა განმარტა, რომ ხელოსნებს უფლება აქვთ უსტაბაშების ასარჩევად, სადაც ენებოთ იქ შეიკრიბნენ, კერძო კაცის სახლში, სახელოსნოში და სხვ. საჭიროა მხოლოდ, რომ ამ გვარ კრებებს მღდელი დაესწროს და ფიცი მიაღებინოს ამომრჩევლებს. რაც შეეხება იმას, კანონიერი იქმნება ეს არჩევანები, თუ არა, თავ. ბებუთოვმა სთქვა, რომ ეს საქმე ქალაქის საგუბერნიო საკრებულომ უნდა გადასწყვიტოს და არა ხელოსანთა გამგეობამაო. აქ ხელოსანთა გამგეობის მდივანსა და თავ. ბებუთოვს ლაპარაკი მოუვიდათ. ერთი ამტკიცებდა, რომ ამქარს მოურავის ნება-დაურთველად კრების გამართვის ნება არა აქვსო და არჩევანები დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს ხელოსანთა გამგეობას და არა საგუბერნიო საკრებულოსაო, ხოლო მეორემ სთქვა, ხელოსანთა გამგეობას, სამწუხაროდ კანონმდებლობა არა სცოდნიაო.

ამ გვარად, 23 ოქტომბრისათვის დანიშნული არჩევანები ხელოსანთა მოურავისა არ მოხდა და სხვა დროსთვის გადაიდო.

*** ტფილისის ბაღ ბოსტნეულობის გამოფენაზედ წაიკითხავს მოხსენებას 24 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზედ 1) ნ. პ. ტარატინოვი, ფსტისა და სხვათა მცენარეთა მოშენების შესახებ. 2) პ. ფალდინი, ყუბანის ოლქის სტანიცა როდნიკოვსკაში გენაგერჩაქის მცენარის მოყვანისა და ამავე ოლქის სოფ. კონსტანტინოვსკაში ანისულის მოყვანის შესახებ. 3) გ. ი. გოგოლიანოვსკი, მევენახეობისა და მეღვინეობის შესახებ. 4) ი. გ. ქუთათელაძე, ბაღეულობის მოსავლისა და გასავალის შესახებ ქუთაისის გუბერნიაში.

*** ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი ამორჩეულ იქმნა ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების საპატიო წევრად.

*** ამ დღეებში მთავარ-მართებლის კანცელარიამ გაუგზავნა კავკასიის ყველა გუბერნატორებს ბეჭდვის საქმეთა მთავარ სამმართველოს მიერ გამოგზავნილი წეს-რიგი უფასო სახალხო სამკითხველოებისა და იმათ მეთვალყურეობის შესახებ.

*** ორშაბათს, 20 ოქტომბერს, ქალაქის საბჭოს სხდომა ჰქონდა, რომელზედაც განხილულ იქმნა სამი საგანი: ხმ. მიტკევიჩის მოხსენება საბჭოში საქმის წარმოების წეს-რიგის შეცვლის შესახებ, საინტენდანტო გამგეობის შუამდგომლობა მმართველობის საწყობის გასაფართოებლად სამი ვიწრო ქუჩის დათმობის შესახებ და ხმ. ა. ბ. ევანგულოვის განცხადება სადგომის გადასახადის შემოღების შესახებ. პირველი საგანი საბჭომ კომისიას გადასცა განსახილველად, ხოლო მეორე და მესამე არ შეიწყნარა.

*** ამ ჟამად ტფილისში იმყოფება საფრანგეთის საერო განათლების სამინისტროს მიერ გამოგზავნილი არქეოლოგი ბარონი დე-ბაი. ბარონმა ჯერ თურმე ციმბირი დაიარა და შემდეგ გრაფ შერემეტიევთან ერთად, რომელსაც კახეთში აქვს მამულები, ჩამოვიდა კავკასიაში. ბარონს დე-ბაის უკვე დაუთვალიერებია ქუთაისი, ფოთი, ბათუმი და დასავლეთ საქართველოს სხვა ადგილები. პატივცემული არქეოლოგი დიდის ყურადღებით ისმენს და იკვლევს თურმე ყველაფერს, რაც-კი შეეხება თამარ დედოფალსა და წმ. ნინოს.

*** ტყის შემნახველ კომიტეტის უკანასკნელს კრებაზედ დაუდგენიათ რაიმე ღონისძიება იქმნასო მიღებული ციციანთ ტყის, სახელდობრ „საციციანოს მთის“ უწესრიგოდ გაჩეხვის წინააღმდეგ. ამ აზრით კომიტეტს საჭიროდ უცვნია გორის ტყის მცველი ბ-ნი სოგინი გაგზავნილ იქმნას ციციაანთ ტყეში ადგილობრივ ამ საქმის გამოსარკვევად და იმასვე დაევალოს, რომ თვალ-ყური ადევნოს და აუკრძალოს ტყის უწეს-რიგოდ ჩეხვა.

*** შუამდგომლობაა აღძრული ქიათურის რკინის გზით ტყის მასალის გარდასახადის შემცირების შესახებ ქიათურიდგან შორაპნამდე. ამ ჟამად ყოველნაირ ბარგის გადატანისათვის გარდასახადად ფუთზედ 10 კაპ. დანიშნული.

*** გაზ. „Чер. В.“ სიტყვით, ბათუმის ქალაქის საბჭოს ხმოსანს ნ. ა. დუმბაძეს განცხადება შეუტანია ბათუმის საბჭოში იმის შესახებ, რომ შუამდგომლობა იქმნას გაწეული და ბათუმის მარიამის სახელობაზედ დაარსებული სასწავლებელი ექვს კლასიან პროგიმნაზიად გადაკეთდეს, ხოლო თუ ვინიცობაა შუამდგომლობა არ შეიწყნარეს, ცალკე საქალებო პროგიმნაზია იქმნას დაარსებულიო.

*** გაზ. „ტფილ. ფურ.“ ატყობინებენ, რომ სწორედ განსაცვიფრებელია რკინის გზის წესწყობილებაო. ტფილისიდგან გორამდის ახდევინებენ მგზავრს 75 კაპ., როგორც დადებულია ნიხრით, მაგრამ თუ ავჭალიდგან მოინდომეთ წასვლა გორამდის, მაშინ 87 კაპ. გადაგახდევინებენ. საჭიროა ვიცოდეთ, რითი ჰხელმძღვანელობენ, რომ ავჭალიდგან მეტს ახდევინებენ მგზავრს, ვიდრე ტფილისიდგან, როდესაც ავჭალა უფრო ახლოა გორთან ტფილისზედ.

*** გაზ. „კავკაზის“ სიტყვით, „ქვა ნახშირის“ საზოგადოებამ დეპეშა მიიღო ტყიბულიდგან, რომელშიაც იუწყებიან, რომ ტყიბულის ბრიკეტის ქარხანა დაიწვაო.

*** სოფ. ალაიანი (გორის მაზრა). ორი სოფელი—ალაიანი და წილკანი მთლად გაანადგურა ყვავილმა და აი ამდენი ხანია პატრონი არ არის რითიმე მალამო დაადოს ხალხს. იშვიათია დაუზარალებელი ოჯახი. ამბობენ, შავი ყვავილიაო. მარტო ალაიანში არის დღემდის ამ სნეულებისაგან 39 სული მკვდარი; სულ-კი სოფელში 70—80 კომლამდისაა. მგონია, ღირსია ასეთი მმუსრავი სენი ყურადღებისა.

*** 20 ოქტომბერს კურის ხიდის მახლობლად იპოვეს წყალში კიდეც დამრჩვალის დედაკაცის გვამი, დამრჩვალი ასე 50 წლის დედაკაცი იქმნება, საშუალო ტანისა. იმის ვინაობა ჯერ ვერ შეუტყვიათ. გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

*** გაზ. „კავკაზს“ სწერენ თელა-

## ფელეტონი

—

### სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა კიევში

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

(შემდეგი *)

ელექტრო-ტეხნიკა

რუსეთში წინად ელექტრო-ტეხნიკა საცოდავს მდგომარეობაში იყო. არაფერი საკუთარი არ შეჰქონდა, არავითარი გაუმჯობესობა რომელისამე მანქანისა არ შეეძლო, ერთის სიტყვით, იმისის აზროვნების ნაყოფს ვერსად ვხედავდით, საზღვარ-გარეთის ნამდვილ მონად იყო შექმნილი, რასაც იქიდგან მოიტანდა, იმას უვლიდა, ულალავებდა და, თუ გააკეთებდა რასმეს, უცხოეთიდგან ჩამოტანილის გეგმის ფეხს ვერ გადააცილებდა. ქვეყნად ერთ მდგომარეობაში არაფერი არა ჩერდება, განვითარება, ან სხვა რამ ძალა ცოტა ხნით შემაგრებულ კედლებს არღვევს და აჩენს პროგრესსის გზას. რუსეთის ელექტრო ტეხნიკამ აიშორა თავს მონობა, დაადგა საკუთარ მოქმედების გზას: ეხლა არა ერთსა და ორს დიდად სასარგებლო აპპარატ მანქანასა ჰნახავთ პირველად რუსეთში დამზადებულს. ამას ნათლად ამტკიცებს კიევის სამრეწველო გამოფენის სამეცნიერო განყოფილება.

გამოფენაზედ წარმოდგენილი აქვს ნიმუშები რამდენსამეს, რომელთ შორის პირველი ადგილი უჭირავს ვარშავის, ხარკოვის ელქტრო-მეხანიკურ და ელექტრო ტეხნიკურ ქარხნებს. ვარშავის ელექტრო-მეხანიკურ ქარხანას უწყვია მრავალი მანქანა და ხელსაწყო ქიმიურ ლაბარატორიაში სახმარებლად. ამათ შორის, რასაკვირველია, მხოლოდ რამდენიმეა შესანიშნავი. ჩვენ აქ დავასახელებთ მარტო ორს მანქანას. ა) მანქანა, რომლის საშუალებით ბენზინიდგან შეიძლება მიიღოთ გასანათებელი გაზი. ეს აპპარატი შესდგება რამდენისამე ცილინდრისგან, პირველი, ე. ი. ზედა ცილინდრი იწევა ზევით, ამ დროს ჰაერი აწვება მილს, რომლისაც დამოკიდებულება აქვს ბენზინის ჭურჭელთან; ამის შემდეგ გვერდზედ გაყვანილ რეზინის ლულაში (ამაზე მიმაგრებულია რქის პატარა მილი გაზისთვის) ჩნდება გაზი. ზევიდ აწეული ცილინდრი ნელ-ნელა იწევს ქვემოდ, როდესაც ნამეტნავად დაიწევა, თითონვე იძლევა ნიშანს (ჰკივის), რადგან ცილინდრის სულ დაბლა, ძველ ალაგს ჩამოსვლა გაზს მოსპობს. ამ ნიშნის გაგონების შემდეგ ცილინდრს ისევ ასწევთ და გაზიც დაიწყებს დენას განუწყვეტლივ. პირველ ცილინდრს ქვეშ წყალი უსხია. ბ) საერთოდ ყველასთვის საყურადღებოა ბარტელის ლამპარი. ეს ლამპარი ფორმალდეგიდით სწმენდს საზოგადოდ შენობა-სადგომებს. რა არის ფორმალდეგიდი ეხლავ გავიგებთ. ლამპარის მოქმედება დაფუძნებულია იმ მოქმედებაზედ, რომელიც სწარმოებს „МЕТИЛОВЫЙ“ ალკოჰოლის ცოტა ჰაერთან შეერთებით წვის დროს. როდესაც ამ ალკოჰოლს ემატება მცირე ნაწილი ჰაერისა და ერთად იწვის, მაშინ ჩნდება ზემო მოხსენებული ფორმალდეგიდი. როდესაც ეს გავიგეთ, ეხლა ამ ლამპარის და ფორმალდეგიდის მნიშვნელობაზედ ვთქვათ ორიოდე სიტყვა. ჰიგიენის მცოდნე მეცნიერებმა ამ ბოლოს დროს გამოკვლევით დაამტკიცეს, რომ სადეზინფექციო ანუ გასაწმენდ საშუალებათა შორის ყველაზედ უპირატესობა უნდა დავუთმოთ იმას, რაც გაზით ჰმოქმედობს, ასუფთავებს საგნებს; მხოლოდ გაზით შეიძლება უტყუარისა და ნამდვილის დეზინფექციის მოხდენა. ფორმალდეგიდი ყველა საშუალებას სჯობია: ჯერ ერთი, თავისის მომქმედ ძალით, მერე იმითი, რომ არცერთ საგანს, რომელსაც მოხვდება, არ ახდენს სულემასავით და სხვ. ფორმალდეგიდის ძალა და უპირატესობა წინადაც იცოდნენ, მაგრამ ხელსაწყოს მოკლებული იყვნენ. ბარტელმა გამოიგონა საჭირო იარაღი, ლამპარი; დღეს ყველას თავისუფლად შეუძლიან ფორმალდეგიდის ხმარება ყველგან და ყოველთვის.

ხარკოვის ელექტრო-ტეხნიკური ქარხანა (დერკოვსკისა) ამზადებს ელექტრო საქიმიო აპპარატებს და სხვ.

*) იხ. „ივერია“ 218.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის მაზრის სოფ. კურდღელაურიდგან, რომ იქ 80 წლის მოხუცებულის ელენე ჯოხარიძის სახლს უცაბედათ ცეცხლი წაეკიდა, სრულიად დაიწვა და თითონ მოხუცებული სახლის პატრონიც შიგ ამოიწვა.

*** 20 ოქტომბერს, საღამოს რვა საათზედ, ტფილისის მოქალაქე ნიკო ალექსანდრეს ძე აბაზაძე მიხეილის ქუჩაზე, სლივიცკის სახლებში, შერემეტიევის მაღაზიაში შევიდა, ერთი თოფი მაუდი, 85 მანათად ღირებული, მოიპარა და გაიქცა. ამ დროს პოლიციელმა მუსტოვმა შეამჩნია, გამოუდგა, დაიჭირა და მოპარულ მაუდითურთ პოლიციაში წარადგინა. აბაზაძე ბევრჯელ შეუმჩნევიათ ამისთანა საქმეში და ამ უკანასკნელ ხანს გამარცვისათვის ორჯელ ციხეში იყო დაპატიმრებული.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ს. ოძისი, 10 ღვინობისთვე. ჩავირთვლიანეთ კიდეც... ჩვენი იმედი და ძალა—ღვინო მოვაქციეთ ქვევრებში და ორის კვირის შემდეგ, ღვთით, მოვიგიყიანებთ თავს მკელებურად-ჩვენებურად. ჩვენებურად, მაგრამ მკელებურისაგან იმ განსხვავებით, რომ ჩვენ მცირენი თურაშაულ ვაშლსავით ლოყებ ჩაწითლებულნი მოვილხენთ, ხოლო მრავალნი—ჩვენგანვე გაუკითხავნი—შემოგვცქირებენ მარჯვენაში: „ჰაი, ჰაი, დროვ ტიალო! თქვენ იქეიფეთ, ჩვენკი მშიერ მგლებივით დაგვიღია პირი და შემოგცქერით ჩვენისავე მარჯვენით აშენებულთ და დამაღლართაო“...

მოსავალი ღვინისა საშუალოა, მაგრამ... მაგარი ის გახლავთ, რომ ღვინომ, პურმა და ყოველმავე მოსავალმა ოძისზედ დაიბრტყა თვისი დალოცვილი კალთა. თქვენი მტერი და დუშმანი ჩავარდეს იმ დღეში, რა დღეშიაც ჩაცვივდნენ ქსნის ხეობის ოძისს ზევით მცხოვრებნი წრევანდელის სეტყვის გამო. ჯერ არის და იგოთს ზევით ვენახს ვერავინ ჰნახავს, მერე, ერთის დასეტყვილის ჭირნახულის ანაბარა რა იქმნება!..

სეტყვამ კიდევ თქვენი ჭირი წაიღოს, ყოველ ბუნების სტიქიონის მოვლენაზედ უარესია ჩარჩების გამრავლება ჩვენში. სამწუხაროდ აქ ჩარჩებს შორის ურევიან ისინიც, რომელთაგან სოფლის სიკეთეს ველოდით და კეთილის გზის ჩვენებას. ჩვენში კოკა ტკბილი შვიდ მანეთად ჰფასობდა. ჩარჩებმა კი დაიკვეთეს ოძისური საუკეთესო ტკბილი სამ-სამ მანეთად. თუმცა მართალია, ოძისში ყველა მოსავალი გვარიანია, მაგრამ ჩარჩების გადამკიდე არა ნაკლებს დღეში არიან დასეტყვილებზედ...

მოგეხსენებათ, რომ ყველას პატრონობა-გულშემატკივრობა სჭირია. ჭორიკანა მთხზველნი ბაცილასავე მრავლდებიან, მაგრამ ამითი პატიოსან მუშაკთა მარჯვენას შეღავათი არ ემლევა—ისევ მშიერი რჩება...

ახალგორის მღვდელი გედევანიშვილი ხალხის საშველად ჰგოდებს სამართლიანად და იწვევს საშველად ადგილობრივ წარმომადგენელთ. არ იქნება ურიგო, თვით მღვდელი გედევანიშვილი შეადგენდეს წრეს, რომელთაც შეემლებათ ანუსხვა გაჭირვებულთა და ადგილობრივ შესაწირავთა შეკრება. ქსნის ხეობა დიდია, მათ შორის მრავალი შეძლებული თავად-აზნაურობაა, ბევრნი გლეხნიც შეეწევიან თავისს მოძმეს და ამგვარად საერთოდ ყველა ვუშველით მძმეს, თორემ ისე აქ ერთმანერთს არვინ შეეცილება, თუმცა-კი მოვალე ვართ ყველა შევეცილოთ ერთმანერთს იმ მოძმის აღსადგენად, რომლის მარჯვენითაც ვცხოვრობთ...

ეკატ. ერისთავისა

## თეატრის მატიანე

„ცხოვრება ბრძოლაა“, დრამა 4 მოქმედ. გულისაშვილისა.

„მოტია“, ვოდევილი ერთ მოქმედებად.

მუდმივს ჩივილსა და ყვედრებას საზოგადოებისას, ორიგინალს პიესებს არა სდგამენო ჩვენს თეატრში, თითქოს ყურადღება მიაქცია ქართულის წარმოდგენების გასამართავად შედგენილმა „ამხანაგობამ“ და ორიგინალი პიესა დასდგა 22 ოქტომბერს—ბ-ნ გულისაშვილის „ცხოვრება ბრძოლაა“. სამართლიანად მიგვაჩნია ასეთი სურვილი საზოგადოებისა, მაგრამ ისიც-კი უნდა მოგახსენოთ, რომ შექსპირისა და მოლიერისა, დიუმა-შვილისა და ჰაუპტმანისთანა კაცების შექმნისათვის ძალიან ძუნწია ბუნება და უხერხულისა და უფერულის დრამისა და კომედიების წერას ისევ თარგმანი სჯობია. ხელოვნების ეს შტო (დრამატიული თხზულება) მეტად ძნელია, მეტად დიდი ნიჭია საჭირო და ღრმა ცოდნა ცხოვრებისა, რომ ამ სფერაში მოიხვეჭოს მწერალმა სახელი.

ევროპის გამოჩენილ მწერალთან შედარებას თავი დავანებოთ, განვიხილოთ გუშინ-წინ წარმოდგენილი დრამა, როგორც ქართულის დრამატიულის ლიტერატურის ნაწარმოები და ვეცადნეთ სასტიკად არ მოვეპყრათ.

ყოველს შემთხვევაში ის უნდა ვთქვათ, რომ დრამის სიუჟეტი საინტერესოა, ზოგიერთი ტიპი ცოცხლად არის გამოყვანილი, მაგრამ ავტორს ემჩნევა, რომ არ იცის კარგად დრამატიულის ხელოვნების კანონები, არ იცის ტეხნიკა და, ამას გარდა, მოკლებულია დრამისათვის იმ მიუცილებელს მახვილ-გონიერებას, რომელსაც ფრანგები esprit-ს ეძახიან.

დრამის შინაარსია ჩვენის თავად-აზნაურობის ეკონომიურის მდგომარეობის ძირითადი შეცვლა, მათი ქონებრივად გალატაკება და დაცემა. ახალი მოთხოვნილებანი თავად-აზნაურობის გაევროპიელებულის ოჯახისა, რომელიც ეხლანდელის ცივილიზაციის ცუდ თვისებათა შეთვისების შედეგია, თხოულობს დაუშრეტელს წყაროს ფულისას, რომელსაც ვერ იძლევა სოფლის მამული მებატონისა. სურვილი ცრუ ცივილიზაციის მიერ შექმნილ მოთხოვნილებათა უასკეცდება გაქსუებულს თავადსა და აზნაურს. სურვილი-კი თავისის მხნეობისა და ღონის მოხმარებისა, რომ შემოსავალი გაიორკეცოს, თანდათან უსუსტდება. იგი ახალის ცხოვრების გზას ვერ შეეჩვია, ვერ შეითვისა ახალნი გარემოებანი, ვერ გაევროპიელდა და ამისათვის ცხოვრებისათვის ბრძოლაში წაგებულია და დამარცხებული. ფეოდალური ცრუ ამაყობა და ყოყოჩობა ეხლანდელის ბურჟუაზულის წესწყობილებისათვის ვერაფერი ხელსაყრელია და არცა აქვს გასავალი. შრომისა და ჯაფის მოყვარეობა-კი, თავისი შრომით ლუკმა პურის მოპოვება ჯერ ამ წოდებას ჩვენის ერისას სამარცხვინოდ მიაჩნია. არც ბურჟუაზული გამრჯელობა მიგვაჩნია ჩვენ სასურველად, რადგან იგი სინიდისიერს შრომისაგან ძლიერ შორს არის, მაგრამ მხოლოდ აღვნიშნეთ, რომ ძველის წეს-წყობილების წარმომადგენელთ ახალ მოლიპულს გზაზედ ფეხი უსხლტებათ და თავს ვერ იმაგრებენ, ისე როგორც ბ-ნ გულისაშვილის დრამის მომქმედი თ. ვარამ მაღალდაძე ვერ შესჩვევია ახალ დივანს და წამდაუწუმ ვარდება იქიდგან.

თ. იერემია მაღალდაძე (ბ ნი გამყრელიძე) თავისის ახალგაზდა მეორე ცოლითა (ქ. ჩერქეზიშვილისა) და შვილებით ტფილისში ჩაბრძანებულა, რადგან მამული ბანკში აქვს დაგირავებული და დღე დღეზედ უნდა გაეყიდოს. ფული ბანკში შესატანი, რომელიც თან ჩამოიტანა, ცოლმა უკვე გაფლანგა, მოურავს გამოუტანებია მეორეჯელ და ის კი მის დარდიმანდსა და მოქეიფე ვაჟს გადაუყრია დუქნებში, ასე რომ მამული უეჭველად უნდა გაეყიდოს. ამ მდგომარეობაშია ის ოჯახი, როცა იმათ ქალიშვილს თამროს (ქ-ნ კარგარელისა) გაიცნობს რამაზ ორგულაძე (ბ-ნი სვიმონიძე) მდიდარი მემამულე და გულწრფელად შეიყვარებს. ქალიც დიდს თანაგრძნობას უწევს, მაგრამ ჯერჯერობით უხერხულად მიაჩნია განუცხადოს ეს თანაგრძნობა, რადგან ოჯახის მდგომარეობა ასეა არეული. ბოლოს ისევ გადასწყვეტს განუცხადოს თავისი გრძნობები რამაზს, მაგრამ როცა მივა იმისს სახლში, დაინახავს, რომ საყვარელი ჰყოლია, რომელთანაც შვილიცა ჰყავს. რამაზს დიდი ხანია აწუხებდა და გულს უგმირავდა ასეთი მისი მდგომარეობა, სინიდისი სტანჯავდა და ჰქენჯნიდა, მაგრამ გადასწყვიტა სიყვარულის ძალას დამორჩილებოდა, მიეტოვებინა საყვარელი და თამარი საზღვარგარეთ წაეყვანა. იქ დრო და გარემოება დაავიწყებდა დანაშაულს და შემდეგ ბედნიერად იცხოვრებდნენ. ხოლო თამარი არა სთანხმდება რამაზის ასეთს ფიქრს, თუმცა მამა, დედინაცვალი (ეს ფულსაც-კი სთხოვს რამაზს, რომელიც აღუთქვამს შესრულებას იმ პირობით-კი, რომ თამარი გაურიგოს) და ძმა დარდიმანდი-ბიჭი მოსვენებას არ აძლევენ, დასთანხმდი და გაჰყევ რამაზსაო. თამაროს ვერაფერი შეაფერხებს და მტკიცედ ადგია თავისს გარდაწყვეტილებას. რამაზი ამ უარის თქმას ველარ გადაიტანს და თავს მოიკლავს. რადგან თამარი არ დასთანხმებია, რამაზს ფულიც არ მიუცია მაღალდაძეებისათვის, რის გამოც ბანკმა მამული გაუყიდა. მამული იმათმა მოურავმა ზაქარიამ შეისყიდა. გამხეცებული ლევან, შვილი მაღალდაძისა, რომელსაც ერთად-ერთ იდეალად ტილიპუჭურასთან ღვინის გადაკვრა მიაჩნია, რომელსაც ერთი წუთიც არა რჩება თავისუფალი, მივა ქეიფში გართული, რომელიც ზიზღით უყურებს ყოველსავე დაფიქრებასა და შრომის მოყვარეობას, ჰხედავს, რომ უკანასკნელი სახსარი ცხოვრებისა და ქეიფისა დაეკარგა და მეტი რაღა დარჩენია, რომ ფირალად არ გავარდეს. მოჰკლავს მართლაც მათ სულის ამომრთმევ მოურავსა და ავაზაკად გავარდება.

ზემოდაც მოგახსენეთ პიესას საინტერესო შინაარსი აქვს აღებული, მაგრამ უმთავრესი მომენტები ამ შინაარსისა ვერ არის კარგად შემუშავებული. ვერ არის კარგად დაპირდაპირებული თ. ვარამ მაღალდაძე, წარმომადგენელი ფეოდალურის წესწყობილებისა, რომელიც სულსა ჰლევს, და მისი მოურავი ზაქარია, წარმომადგენელი მომავალის წესწყობილებისა, რომელსაც ჩალად მიაჩნია სინიდისი, ერთგულება და პატიოსნება, ოღონდ-კი თვითონ შეიძინოს სიმდიდრე. მართალია, გულუბრყვილო და ჩერჩეტი თავადი კარგად არის დახასიათებული, მაგრამ ცბიერებითა და ვერაგობით აღსავსე მოურავი მეტად სუსტად არის დახატული.

ვერ არის შესწავლილი ფსიხოლოგია რამაზისა და თამაროსი, საზოგადოებისათვის ვერ არის ნათლად გამორკვეული ტანჯვა რამაზისა და თან თამაროს სულის ვითარება, რომელსაც უყვარს კაცი და ვერ კი მიჰყვება, რადგან მისი ზნეობრივი მიზეზი ხელს უშლის.

კარგია ტიპი ლევანისა (ბ-ნი აბაშიძე), რომ მეტად გაჭიანურებული ლაპარაკი არ იცოდეს, რაც მეტად უშლის ხელს ტიპის სიცხოვლეს. თუ არ დიდი ნიჭი ბ-ნი აბაშიძისა, ეს ტიპი ისე ცოცხლად არ გვეჩვენებოდა სცენაზედ. მეტად ბევრს ჰლაყბობს და სასაცილო კიდევ ის არის, რომ ასე გგონია, მართლაც მის უაზრო ტიკტიკს დიდი საფუძველი ჰქონდესო, რადგან „ორი ნასწავლი“ ერთ რიგიან პასუხს ვერ აძლევენ იმისს სულელურს ლაყბობას. რის მაქნისია ეგნატე მაღალდაძე (ბ ნი მჭედლიშვილი)—სტუდენტი, არ ვიცით. ჩვენ იმის შესახებ იმის მეტი არა ვიცით-რა, რომ იგი სტუდენტია. ქართველი სტუდენტი-კი ჰლექიანი უნდა იყოს, ეს ჭეშმარიტება აღმოაჩინა ჩვენმა ლიტერატურამ და ამ მხრივ ჩვენი

---

იარაღებს. ამას ჩამოტანილი აქვს გამოფენაზედ, სხვათა შორის, ხელში დასაჭერი ცეცხლის საქრობი პატარა მანქანა. ამ ავტომატიურ იარაღში უნდა ჩაასხათ $2\frac{1}{2}$ ლიტრა წყალი, რომელსაც ემატება ქიმიურად შედგენილი ნივთი. ცილინდრში უნდა ჩაიდოს შუშის ვაზნა (პატრონა), სითხით ავსებული. ამ სითხის ნარევი გამომგონის საიდუმლოს შეადგენს, ცეცხლის გაჩენის დროს აპპარატის ერთს პატარა ხრახნილს (ვინტი) დააჭერენ ხელს, შუშა შიგ იმსხვრევა, სითხე ერევა წყალს და საშინელის ძალითა და სისწრაფით გამოდის. ასეთი შეზავებული სითხე წარმოადგენს სამაგალითო ცეცხლის საწინააღმდეგო საშუალებას. ეს მანქანა ამ ზაფხულს გაუსინჯავთ პეტერბურგში და ყველას დიდად მოსწონებია, საშინელი ცეცხლის მომსპობი ძალა გამოუჩენია, ძალიან მალე გაუქრია ნავთ-გადავლებული და მოკიდებული ხის შენობა. ამ მანქანის სარგებლობის შესახებ ლაპარაკიც მეტად მიმაჩნია, რადგან უკვე ნათქვამიდგანაც კარგად გაიგებს ამას მკითხველი საზოგადოება. ასეთ პატარა მანქანას სადაც გინდათ, იქ დასდგამთ, თუნდ პაწია ოთახშიაც, მეორე მანქანა წარმოადგენს ოთახში ჰაერის გასაწმენდს. ამ აპპარატს აქვს ოზონის ოთახში დამბრუნებელი ძალა, რომელიც (ოზონი) ოთახის ჰაერში ჰქრება თითქმის, ოზონის მნიშვნელობა ხომ ყველა უვიცმა იცის, უამისოდ ჰაერი რას ვარგა, ან რას წარმოადგენს (მსურველს ამის შესახებ შეუძლიან ვრცელი აზრი ამოიკითხოს მენდელეევის ქიმიაში). აპპარატი წააგავს ფრთეებიან პატარა წისქვილს, საკმაოა დაადო ხელი პატარა ხრახნილს, რომ ელექტრონის ჰაერის გამწმენდი ათამაშდეს და ფრთებმა დაიწყოს საშინელის სისწრაფით ტრიალი. ელექტრონის აპპარატის ათამაშების შემდეგ გარშემო ვრცელდება საამო სიგრილე და შედარებით ფაქიზი ჰაერი. მესამე—აცეტილენის სინათლის მისაღები მანქანა, აცეტილენის გაზს ანუ აცეტილენს უკანასკნელ დრომდის მარტო ლაბორატორიულის წესით ჰპოულობდნენ, დღეს-კი, როდესაც საფრანგეთის გამოჩენილმა ქიმიკოსმა მოასსანმა გამოიკვლია და დაამტკიცა, რომ აცეტილენის მიღება შეიძლება ქვადაც, თუ მჟავბადს და კალცის ერთად შეაერთებთ. ძლიერ გაადვილდა აცეტილენის სინათლის ხმარება. ამ სინათლეს დიდ ქალაქებში თითქმის ყველგან შეხვდებით, ელექტრონის სინათლეს არაფრით ჩამოუვარდება, გაზისას ხომ ათასჯერ სჯობია. აქ დასახელებულ აპპარატის საშუალებით ძლიერ გაადვილებულია აცეტილენის სინათლის გამოწვევა და მით ოთახის, ბაღის, საერთო სადგომების განათება. აცეტილენის სინათლე, როგორც ვხედავთ, ეხლახან ვრცელდება საზოგადოდ, მეოთხეც—გადასატანი მანქანა რენტგენის სხივებისთვის—დიდად საინტერესოა. ამ აპპარატით შეუცდომლად გამოიცნობთ ნამდვილს ძვირფასს თვალს, საეჭვო წერილებსა და ამანათს, ქსოვილების მასალასა და სხვ. იგი იხმარება სამკურნალო აზრითაც.

ხარკოვის მეორე ელექტრო-მეხანიკურ ქარხანას (ინჟინერ შენფოგელისას) მოუტანია ცუდ და გადამდებ სენის ჭუჭყის ძალის დამკარგველი მანქანა. ასეთი აპპარატი დიდად საჭიროა და იხმარება ყველა საუკეთესო საავადმყოფოებში, მაგრამ ამ აპპარატის ხმარებას არ უნდა იყოს აშორებული სასტუმროები, სადაც ვინ უწყის რაგვარ სენით შეპყრობილი ვაჟბატონი არა ჰხმარობს საერთო თეთრეულს; აპპარატი ძვირი არ არის, ამიტომაც სასურველია ამის გავრცელება სასტუმროებში. აპპარატის ერთს ცილინდრში, სადაც უნდა ჩაიწყოს თეთრეულობა, ას გრადუსამდის ცხელის წყლის ორთქლი შედის და ტრიალებს; ამით იჟღენთება თეთრეულობა, აქედგან ორთქლი გადადის მეორე ცილინდრში და იქცევა წყლად. ამის შემდეგ თეთრეულით ავსებულს ცილინდრს მოხსნიან ჰაერის სამუშაოს, თეთრეულობა შრება რამდენისამე წუთში და ამითი თავდება კიდეც ყველაფერი. ეს საშუალება ყველა გადამდებ სენის ჭუჭყსა და ბაცილებსა ჰსპობს.

მალაქია ბოლქვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატორები დიდს ერთსულობასა და ერთგულობას იჩენენ დამტკიცედ იცავენ ძველს წესსა და სჯულს. ქართულის ლიტერატურის აზრით, ქართველი სტუდენტი არის ისეთი ცხოველი, რომელსაც ჭლექი სჭირს, სხვა თვისებანი ამ სულიერისა ჯერ არ იციან ქართველმა ლიტერატორებმა.

პიესა კარგად აღასრულეს, რომ ქ-ნს გამყრელიძისას არ ჩაეშხამებინა ჩვენთვის მთელი წარმოდგენა. ეს როლი რამაზის გაუბედურებულ და გაბიაბრუებულ საყვარლისა—იმდენად უცნაურად წარმოადგინა, რომ ჩვენდა უნებურად სრულიად თანავუგრძნობდით რამაზს, რომელიც იმისს დატოვებას იყო მოწადინებული.

საყვედურის ღირსია ბ-ნი რეჟისორი, რომ ასეთი როლი მისცა ქ-ნ გამყრელიძისას. პირველი ადგილი ჩვენ მსახიობთა შორის ყოველთვის ბ-ნს აბაშიძეს უჭირავს და, ზემოდაც მოვიხსენიეთ, მშვენივრად აღასრულა ტიპი გაქსუებულის დარდიმანდის მესამე კლასიდგან გამოგდებულის ახალგაზრდა თავადისა.

მშვენივრად აღასრულა მაღალდაძის კნეინის როლი ქ-ნმა ჩერქეზიშვილისამ და ნათლად წარმოგვიდგინა კნეინა, რომლის ზრუნვა მარტო ის არის, რომ საიდგანმე ფულები იშოვოს და სადმე გაფლანგოს, რისთვისაც არავითარს ღონიძიებას არ ერიდება.

ვარამ მაღალდაძედაც ჩინებული იყო ბ-ნი გამყრელიძე. ბ-ნი გამყრელიძე ნიჭიერი არტისტია და ამ ნიჭიერებას ორიგინალს პიესებში ყოველთვის იჩენს.

ბ-ნმა სვიმონიძემ ვერ დაგვაკმაყოფილა, მეტად გადაჭარბებულის დრამატიზმით თამაშობდა, თუმცა ესეცკი უნდა ითქვას, მეტად უხერხულად არის დახატული თვით ტიპი რამაზისა.

უფერული და უმნიშვნელო როლი სტუდენტისა კარგად წარმოადგინა ბ-ნმა მჭედლიშვილმა. კარგი იყო აგრეთვე ბ-ნი კანდელაკი ქართველის გლეხის ჩაჩიკას როლში.

ქ-ნი კარგარელი ძალიან კეკლუცადა და ცოცხლად თამაშობდა, მაგრამ სრულიად ვერ გამოსახა სულის მღელვარება თამროსი, რის გამოსახვა, მართალი უნდა ვთქვათ, ავტორმაც ვერ შესძლო.

ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი „მოტია“ ჩვეულებრივ კარგად აღასრულეს. ქ-ნი ჩერქეზიშვილისა, ბ-ნი აბაშიძე და გედევანოვი საუცხოვონი იყვნენ.

კ—ა

## უცხოეთი

**კრიტი.** როგორც უკანასკნელად მოსულის ამბებიდგანა სჩანს, ევროპის სახელმწიფოთ უკვე განაცხადეს თანხმობა, რომ კრიტის დროებით გენერალ-გუბერნატორად პოლკოვნიკი შეფფერი იქმნას დანიშნული. ამას წინად ჩვენ მკითხველთ ვუამბეთ მოკლე ბიოგრაფია შეფფერისა, არ მოგვიხსენებია მხოლოდ ის, რომ პოლკოვნიკ შეფფერს, რუსულის გაზეთის ,,НОВ. ВРЕМ.“ სიტყვით, ცოლად ქართველი, სახელდობრ თავ. დადიანის ქალი, ჰყავს. შეფფერის წინააღმდეგი, გაზეთების სიტყვით, მხოლოდ ერთად-ერთი ოსმალეთია, რომელსაც აზრადა აქვს კრიტის გენერალ-გუბერნატორად თავისი ქვეშევრდომი მაჰმადიანი ან ქრისტიანი დაჰნიშნოს. ეჭვი არ არის, რომ ევროპის სახელმწიფონი ყურადღებას არ მიაქცევენ ოსმალეთის სურვილს და თავისას უეჭველად გაიყვანენ. მართალია, შეფფერი გამოჩენილი კაცი არ არის და დღემდის იმისი სახელი არც-კი ვინმემ იცოდა, მაგრამ სახელმწიფოთ უმთავრესი ყურადღება მიაქციეს იმას იმიტომ, რომ შეფფერი არც ერთ იმ სახელმწიფოთა ქვეშევრდომი არ არის, რომელნიც ასე თუ ისე დაინტერესებულნი არიან კრიტის საქმეში და, მაშასადამე, იგი არც ერთის მხარეს არ დაიჭერს. გარდა ამისა, შეფფერი სამხედრო კაცია და ამ გარემოებას-კი სახელმწიფონი დიდს მნიშვნელობას აძლევენ, რაგანაც იმათის აზრით პირველ ხანს კრიტისათვის სწორედ ასეთი კაცია საჭირო.

—

**ოსმალეთი.** ოსმალეთში დიდი მითქმა-მოთქმა და ლაპარაკი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ამ რამდენისამე დღის წინად იტალიის მოხელეებმა დააპატიმრეს კრიტში მიმავალი ერთი გემი, რომელიც გრას ყალიბის თოფებით იყო დატვირთული. გემში 10,000 თოფი აღმოჩნდა. რადგანაც ასეთის ყალიბის თოფებით მხოლოდ საბერძნეთის ჯარია შეიარაღებული, ოსმალეთის მთავრობის აზრით, ეს ამოდენი იარაღი საბერძნეთის მთავრობის მიერ იქმნება გაგზავნილიო. უკანასკნელ შემთხვევაში საბერძნეთის მთავრობას, თუ თავისის მხრივ არ გაუგზავნია იარაღი, ეცოდინებოდა მაინც ეს გარემოება და ამიტომ ვალდებული იყო შეეჩერებინაო. გაზეთების სიტყვით, პორტა დიდად უკმაყოფილოა საბერძნეთის ასეთის საქციელით. საბერძნეთს, პორტას აზრით, არ შეჰშვენის ასეთის საქციელის ჩადენა ეხლა, როდესაც ორივე სახელმწიფოს წარმომადგენელი კონსტანტინეპოლში სხედან და ზავის უკანასკნელ პირობათა დადების ზრუნვაში არიანო.

—

**საბერძნეთი.** საბერძნეთის ტახტის მემკვიდრე კონსტანტინე, რომელიც ოსმალეთთან ომის დროს საბერძნეთის ჯარს წინამძღოლობდა, და იმისი ძმა გიორგი ამ რამდენისამე დღის წინად დაბრუნდნენ თავიანთ სამშობლოში. როგორც ევროპის გაზეთები იუწყებიან, ხალხი და ათინის გაზეთები მეტად ცივად მიეგებნენ. გაზ. ,,Berl. Tageblatt-ს“ სწერენ კონსტანტინეპოლიდგან, რომ ხალხმა იმათ მოსვლას თითქმის არავითარი ყურადღება არ მიაქცია, ხოლო გაზეთებმა, მხოლოდ მოკლედ აღნიშნეს ბატონიშვილების მოსვლა, სხვა ფრივ კრინტიც არ დაუძრავთო.

## დამაკვირდი

საუკეთესო გამარჯვება ქალისა ის არის, რომ თავის თავზედ არავის გაამარჯვებინოს.

კალდერონი

* * *

ღმერთო, ფეხზედ წამოგვაყენე და წოლით ჩვენ თითონ დავწვებით.

რუს. ანდაზა

* * *

ყველა დიდთა საქმეთა კვირტი იმედია თავისის თავისა; შენ თამამი და გაბედული იყავი და ბედნიერება გაგიღიმებს.

კოცებუ

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამ ჟამად ქ. ხარკოვში სცდიან პროფესორის დანილევსკის მიერ გამოგონილს ჰაერში საფრენ მანქანას. ეს ამბავი მეტად საყურადღებოა, რადგანაც მცოდნე კაცები ამბობენ, რომ დანილევსკის მიერ გამოგონილი მანქანა ყველა მანქანასა სჯობიანო.

ამ 10—15 წლის განმავლობაში მრავალ ადგილას გაკეთებულა და კეთდება ჰაერში საფრენი მანქანები. ხშირად წაიკითხავს ხოლმე კაცი გაზეთში—ამა და ამ კაცმა ისეთი მანქანა გამოიგონა, რომელიც თავისუფლად იფრენს ჰაერშიო. ზოგიერთს ჟურნალში იმ წამსვე იბეჭდება სურათი ამ მანქანისა. ყველა ამ სურათებს საერთო ნაკლი აქვთ: კაცი ვერაფერს გაიგებს, როგორ არის გაკეთებული ეს მანქანა და როგორ უნდა იფრინოს ჰაერში. გაივლის ცოტაოდენი ხანი და ამ მანქანის ხსენებაც არსად არის. ბოლოს აღმოჩნდება, რომ მანქანის გამომგონელს ანგარიში შეჰშლია, მანქანა არა მუშაობს და არა თუ მანქანის გამომგონი, თავისი თავიც ვერ აუწევია დედა-მიწიდგან და ფრენას ვიღა ჩივის.

რაც შეეხება პროექტებს, გეგმებსა და ვითომ-და ახალ მანქანის შესახებ გამოკვლევასა და მოხსენებას, ყოველსავე ამით ამ ჟამად სავსეა სამეცნიერო აკადემიები. მათ შორის რუსეთის საიმპერატორო სატეხნიკო საზოგადოება და აგრეთვე პარიჟის ერთი აკადემია. ამ აკადემიაში მარტო ერთის 1895 წლის განმავლობაში წარდგენილია 74 პროექტი ჰაერში საფრენ მანქანებისა. ამათში ზოგი პროექტი ისეთია, რომ არა თუ საქმის მცოდნე კაცსა, ცოტაოდნად გონიერს კაცსაც სიცილს მოჰგვრის, იმდენად შეუძლებელია პროექტში აწერილ მანქანის გაკეთება. ცხადია, რომ აკადემიები, მეცნიერნი და მცოდნე კაცები არ ენდობიან ამ პროექტებს.

მაგრამ ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ ჰაერში საფრენ მანქანის გაკეთება არა თუ შესაძლოა, ამასთანვე მეტად ადვილიც უნდა იყოს. ამას დაუმატეთ ის დიადი მნიშვნელობა, რომელიც ექმნება მთელის ქვეყნისათვის ჰაერში საფრენ მანქანის გაკეთებასა და გამოგონებას, და ადვილად მიხვდებით, რომ მეცნიერნი დიდს ყურადღებას აქცევენ იმ გვარ პროექტებს, რომლებსაც კი გონებისა და ცოდნის ცოტაოდენი ნიშანწყალი ატყვია. პროფესორს დანილევსკის გამოუგონია სწორედ ასეთი მანქანა, რომელსაც ამ ჟამადა სცდიან ხარკოვში.

დანილევსკის მანქანის შესახებ ბევრი სხვადასხვა ხმა დადიოდა ხალხში. ამბობდნენ, რომ დანილევსკი რაღაც საკვირველსა და საოცარს მანქანას აკეთებს, რომელიც არა ჰგავს არც ჰაეროსტატსა და არც ჰაეროპლანს. აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ ჰაერში საფრენ მანქანის გამომგონელნი ორ დასად დაიყვნენ: ერთნი ამბობენ—მხოლოდ ჰაეროსტატით შეიძლება ჰაერში ფრენაო, ე. ი. ისეთის მანქანით, რომელიც ჰაერზე სუბუქია და სხვა მანქანა არ გამოდგებაო. მეორენი ამტკიცებენ—ჰაეროსტატი არ გამოდგება, გაცილებით უკეთესია ისეთი მანქანა, რომელიც ჰაერზედ მძიმეა, და რომელმაც ფრინველსავით უნდა იფრინოსო. ამ გვარ მანქანებს ჰაეროპლანებს ეძახიან. ეხლა მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ პროფესორის დანილევსკის მიერ გამოგონილს მანქანას დიდი ყურადღება მიაქციეს ყველამ, რადგანაც იმისი მანქანა ერთსა და იმავე დროს ჰაეროსტატსაცა ჰგავს და ჰაეროპლანსაც.

მაგრამ გაზეთების თანამშრომლებმა და მოამბეებმა აქაც გადაამლაშეს, ეხლა გამოირკვა, რომ დანილევსკის მიერ გამოგონილი მანქანა არც საკვირველი რამ არის, არც უცნაური და არც სულ ახალი რამ გამოგონება.

დანილევსკიმ ერთის დიდის ჰაეროსტატის მაგიერად გააკეთა 20 თუ 30 პატარა მოგრძო ჰაეროსტატი და ყველანი მიამაგრა ხის ჩარჩოს. ამ ჩარჩოზედვე მიმაგრებულია იალქანი. იალქანს მიბმული აქვს თოკები და თოკის წვერები კაცს უჭირავს ხელში. იალქანის შემწეობით კაცი იქით წაიყვანს მთელს მანქანას, საითაც მოისურვებს. იალქნის გარდა ამ მანქანას აქვს კიდევ ვინტი, რომელიც ჰაერსა სჭრის და მანქანა მიჰყავს. ვინტს კაცი ფეხით ამუშავებს, როგორც საკერავს მანქანას.

რამდენად გამოსადეგი იქმნება დანილევსკის მანქანა, ამას დრო გვიჩვენებს; ჯერ-ჯერობით გადაწყვეტილი არაფერი ითქმის, რადგანაც ისეთი ამბავი, რომ დანილევსკის მანქანა „მშვიდობიანად აფრინდა“ და „მშვიდობიანად ძირს დაეშვაო“—არაფერს ამტკიცებს. ბევრი მანქანა ასულა მშვიდობიანად ჰაერში და ჩამოსულა კიდეც, მაგრამ ჰაერში ფრენის საქმეს ამით არაფერი ეშველა.

ასე თუ ისე, არავინ იტყვის, რომ დანილევსკის გამოგონება უნაკლო იყოს და ამიერიდგან ადამიანს თავისუფლად შეეძლოს ჰაერში ფრენა. თვით დანილევსკიც არ ამბობს ამას. მაგრამ იმის გამოგონებას მაინც დიდი მნიშვნელობა ექმნება და ცოტათი მაინც წინ წასწევს ჰაერში ფრენის საქმეს.

მართლაც და უეცრად არაფერი მომხდარა ქვეყანაზედ. არც ერთს გენიოსს არ შეუძლიან არაფრისაგან შეჰქმნას რამე. საჭიროა დიდის ხნის შრომა, მედგარი, დაუღალავი. მეცნიერების ისტორია ბევრს ამ გვარს მაგალითებს წარმოადგენს. გავიხსენოთ ისტორია ორთქლის მანქანისა. რამდენი დრო და შრომა იყო საჭირო, ვიდრე გენიოსმა უატმა ორთქლი გამოიყენა მანქანისათვის. ასეთი ამბავი იყო ტელეგრაფისა, ტელეფონისა და ელექტრონის გამოგონებაში.

რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ გვარ შრომას ყოველ გვარ გამოგონებისათვის, ფრანკლინის ისტორია გვიმტკიცებს. ამ მეცნიერმა რომ კონგრესის წინაშე მოხსენება წაიკითხა იმის შესახებ, როგორ აგროვებს ჰაერში უბრალო ფრანი ელექტრონს და თავისის გამოკვლევისათვის კონგრესს საჭირო ფული მოსთხოვა, ასე უპასუხეს, ღირს კია, რომ მაგ უბრალო საქმისათვის ფული დავხარჯოთო, ფრანკლინი გაბრუნდა, აიყვანა ხელში უსუსური ბავშვი, შემოიყვანა დარბაზში და უთხრა კონგრესის წევრთ:

„ეს ბავშვი ერთს დროს მოქალაქე იქმნება!“

კონგრესი მიხვდა, რასა ნიშნავდა ფრანკლინის სიტყვები, და დასთანხმდა იმის მოხსენებას.

გავიდა ერთი საუკუნე. ფრანკლინის წინასწარმეტყველება აღსრულდა: უსუსური ბავშვი—ელექტრონი წამოიზარდა და შეიძინა ყოველივე უფლება. ფეხი გაიდგა ქალაქებსა და სოფლებში. ეხლა თვით ფრანკლინი გაოცდებოდა, რომ ენახა ელექტრონის სიძლიერე.

ეჭვი არ არის, რომ ასეთივე ბედი მოელის ჰაერში საფრენ მანქანებს. დღეს თუ ხვალ, ადრე თუ გვიან მეცნიერება გაიმარჯვებს და მის მიერ გამოგონილ მანქანებს ადგილი უნდა დაუცალონ რკინის გზებმა და მატარებლებმა. როდის იქმნება ესა, არავინ იცის. ეს-კი შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ საჭიროა მედგარი შრომა, მეცადინეობა, გამოკვლევა და მერე... სახელი და დიდება გენიოსს, რომელიც ქვეყანას გააკვირვებს დიადის გამოგონებით და ადამიანს დაუმორჩილებს ჰაერს, ისე, როგორც ეხლა დამორჩილებული ჰყავს ზღვა და ხმელეთი.

ჯერ-ჯერობით-კი მეცნიერება მეტად სუსტია ამ საქმეში. მართალია, რენარმა და კრებსმა გააკეთეს და კიდეცა სცადეს ჰაერში საფრენი მანქანა—ჰაეროსტატი. ბ-ნმა ფრომაჟმა ვრცელი მოხსენება წარუდგინა მეცნიერთა კრებას თვისს მიერ გამოგონილ მანქანის შესახებ. ერთმა რუსმა ციოლკოვსკიმ მთელი პროექტი შეადგინა ჰაერში საფრენ მანქანისა. მეორემ—კრეტოვიჩმა დაბეჯითებითა სთქვა—ჩემ-მიერ გამოგონილი მანქანა ყველასა სჯობიანო. პროფესორმა ლენგლეიმ ერთი პატარა მანქანა გააკეთა, რომელიც ორთქლის შემწეობით ჰაერში ფრინავს (თუ ქარი არ არის). ბ-ნმა კოსტოვიჩმა გააკეთა პატარა მანქანა, რომელიც აგრეთვე დაფრინავდა ჰაერში და მერე შეუდგა უზარმაზარის მანქანის კეთებას, რომელსაც სახელად „რუსეთი“ უწოდა. ამერიკელმა ინჟინერმა მაქსიმმაც გამოიგონა ასეთი მანქანა. ფრანგმა ლილიენტალმა ფრთები გაიკეთა და დაფრინავდა. პროფესორმა ველფერტმა გააკეთა დიდი ჰაეროსტატი, მიუბა ნავი, შიგ ვინტის სატრიალებელი მანქანა გამართა. ანდრემ დიდი ჰაეროსტატი გააკეთა, ჩაისვა ორი ამხანაგი და ჩრდილო პოლიუსისკენ გასწია, მაგრამ... აბა ვნახოთ, რა ბედი ეღირსა მეცნიერებისთვის თავდადებულ ყველა ამ კაცებს.

რენარისა და კრებსის ჰაეროსტატი ქარს ვერა სძლევდა. ფრომაჟი ისე მოკვდა, რომ მანქანა ვერ გააკეთა. ციოლკოვსკის მანქანა ადგილიდგან ვერ დაიძრა. კრეტოვიჩის მანქანის შესახებ არაფერი ისმის. პროფესორის ლენგლეის მანქანა ისე პატარაა, რომ კაცს ვერ აიყვანს ჰაერში. კოსტოვიჩის მანქანის „რუსეთის“ შესახებ აღარაფერი ისმის. ინჟინერის მაქსიმის მანქანა არ გამოდგა, ხან რა გაუფუჭდა და ხან რა. ლილიენტალი მაღლიდგან ჩამოვარდა და მოკვდა.

ანდრესი და იმის მეგობრების ამბავი არავინ იცის... დარჩა ამ ჟამად პროფესორის დანილევსკის მანქანა, რომლის შესახებ გადაწყვეტილი არაფერი ითქმის. ამ გვარად ჯერ-ჯერობით ჰაერში საფრენ მანქანების საქმე ისევ უსუსური ბავშვია, მაგრამ ეჭვი არ არის, ეს ბავშვიც წამოიზრდება, ძალღონეს მოიკრებს და ერთხელ როდისმე მთელს ქვეყანას გააკვირვებს და სრულიად შესცვლის აწინდელს ცხოვრებასა და წესწყობილებას.

## ქართული თეატრი ქუთაისში.

კვირას, 19 ოქტომბერს, ქართულის დრამატიულის დასის არტისტებმა წარმოადგინეს ისტორიული დრამა ,,ერნანი“, თარგმანი ბ. ხუსკივაძისა. წარმოდგენას ჩვეულებრივ მრავალი ხალხი დაესწრო. პიესა არტისტებმა საკმარისის ცოდნით და ხელოვნებით ჩაატარეს. განსაკუთრებით მშვენივრად ჩაატარა თავისი როლი ბ. ყიფიანმა, რომელიც გომეზ და სილვას როლს შეუდარებლად ასრულებდა. ბ-ნი ალექსეევ-მესხიშვილი ყოველთვის ზომიერია, მართებული და თავდაჭერილი თავისს როლებში და არც ამ ხელად უღალატნია ამ გზისათვის. ბოლომდის თავისი როლი ერნანისა კარგად ჩაატარა, თუ არ მივაქცევთ ყურადღებას ხმის სისუსტეს, რომელიც უკანასკნელ მოქმედებაში უფრო ემჩნეოდა. მშვენიერი იყო დონია სოლის როლში ქ. ჩხეიძისა. თუმცა ერთ ორს ალაგას, სადაც უნდა სიკაპასე გამოეჩინა, სავსებით ვერ დაგვიხატა კაპასი დედაკაცი, მაგრამ მაინც საზოგადოდ იმდენად მშვენივრად შეასრულა თავისი როლი, რომ ამ ნაკლულევანებას ყურადღება არ უნდა მიექცეს.

დანარჩენი არტისტები, წვრილმანის როლების აღმასრულებელნი ჩარკვიანის გარდა, რომელიც დონ კარლოს მეფის როლს ასრულებდა, ცოტა არ იყოს სუსტობდნენ. ორიოდე სიტყვა საზოგადოდ პიესების შესახებ. არ იქნება, ჩემის ფიქრით, ურიგო მივაქციოთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ ჩვენი არტისტები ძალიან ზურგს უქცევენ ორიგინალ პიესებს. ეს რამდენიმე წარმოდგენა იყო და ორიგინალი პიესა აქაურ საზოგადოებას არ უნახავს. იქნება ნათარგმნი პიესები ურიგო არ იყოს, მაგრამ... მაგარი ის არის, რომ ჩვენის საზოგადოებისათვის ასეთი პიესები მნიშვნელობას მოკლებულია ორიგინალ პიესებთან შედარებით. ამისი თქმა უფრო თამამად შეიძლება ქუთაისში, სადაც თეატრში სიამოვნებით დადიან, და ასე გასინჯეთ, სოფლის ხალხიც-კი სოფლებიდგან ჩამოდის, როცა წარმოდგენა არის ქუთაისში. ამისათვის არტისტები ძალიან უნდა სცდილობდნენ ისეთი

პიესები დადგან, რომელიც ხალხის სულსა და გულს უფრო შეეწონება და შეეფერება. თუ თეატრი ცხოვრების სკოლა არის ხალხისთვის, უფრო მიქცეული უნდა ჰქონდეს ყურადღება ჩვენს ცხოვრებას, თუ არა-და უცხო ხალხის პიესებით და მეტადრე კიდევ ისეთის პიესებით, რომელიც თავის სამშობლოშიაც დიდის ხნის დავიწყებულია, ხალხს თავს მოვაბეზრებთ და გულს ავუცრუებთ.

მან—ბან

## ახალი წიგნები

ჩვენ მივიღეთ პაწია წიგნაკად გამოცემული ზღაპრები ანდერსენისა, წიგნი მეორე, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა. წიგნაკს წინ დართული აქვს სურათი თვით შესანიშნავის მწერლის ანდერსენისა და შიგა და შიგაც ზღაპრებში სურათებია ჩართული შინაარსის შესაფერი. ამ წიგნაკში მოქცეულია ოთხი ზღაპარი, შეიცავს იგი 63 გვერდს და ჰღირს 10 კაპ. ენა თარგმანისა ალაგ-ალაგ ჰკოჭლობს. წიგნაკი გამოცემულია ბათუმში თავართქილაძისა და მიქელაიშვილის მიერ.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

21 ოქტომბერი.

**პარიჟი.** 20 ოქტომბერს, იმპერატორის ალექსანდრე III გარდაცვალების დღეს, რუსთა ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა. დაესწრნენ პრეზიდენტის ფორის წარმომადგენელი, მინისტრი ჰანოტო, ბარონი მორენჰეიმი რუსეთის საელჩოს წევრებითურთ და სადიპლომატო კორპუსის მრავალნი წევრნი.

**ვენა.** „Politische Correspondenz“-ს ატყობინებენ ბელგრადიდგან, რომ მინისტრ-პრეზიდენტმა გეორგიევიჩმა გაუგზავნა სერბიის წარმომადგენელთ საზღვარ-გარეთ მიწერილობა, რომელშიაც აცხადებს, რომ მილანს არავითარი კავშირი არა აქვს სამინისტროს გამოცვლასთან და რომ მილანის აქ ყოფნას ტყუილად უკავშირებენ სერბიის გარეშე პოლიტიკის ცვლილებათაო. სერბიის პოლიტიკა დამოკიდებულია მხოლოდ სერბიის მინისტრებისაგან, და მისი პასუხის-მგებელნიც ისინი არიანო. აი, სწორედ ამიტომ კაბინეტს არ შეიძლება აზრად მხოლოდ ისა ჰქონდეს, რომ სერბიის კეთილდღეობა ერთს რომელსამე სახელმწიფოსთან კავშირში ერიოს. მთავრობას აზრადა აქვს, სამეგობრო კავშირი ყველა სახელმწიფოსთან დაიჭიროს. მთავრობის მეცადინეობა მიმართულია იმად, რომ ფინანსთა საქმე სრულიად შესცვალოს და განაკარგოს. ის ყოველს საშუალებას იხმარებს, რომ მტკიცედ აღასრულოს ყოველივე ის, რაც ვალდებულება აქვს უცხო სახელმწიფოთა წინაშე; აგრეთვე იზრუნებს ამისთვისაც, რომ ჯარი მუდამ კარგად იყოს გაწყობილიო.

**ლონდონი.** „Daily Nevs“-ს დეპეშით ატყობინებენ კრიტიდგან: „იმ მაჰმადიანთა საქმე, რომელთაც ტსიკალარიაში სამის ქრისტიანის მოკვლის ბრალი ედებათ, განხილულ იქნება 22 ოქტომბერს. საერთაშორისო მოხელენი ყოველ ღონეს ჰღონობენ, რომ არეულობა არ მოახდინონ მაჰმადიანთ, რომელთაც განაცხადეს, რომ შურს ვიძიებთო. ჯევად-ფაშამ პირობა მისცა ადმირალ კანევაროს, რომ საქმის გარჩევის დროს ჯარს სადგომებში გავაკავებო.

„Standard“-ს დეპეშით ატყობინებენ კონსტანტინეპოლიდგან: „პორტამ გადასწყვიტა გაუგზავნოს სახელმწიფოთ კრიტის საქმეების შესახებ ახალი ნოტა, რომელშიაც განაცხადებს წინააღმდეგობას იმ საიდუმლო დახმარების გამო, რომელსაც ვითომდა საბერძნეთის მთავრობა უწევს მეამბოხეთ.

22 ოქტომბერი.

**პეტერბურგი.** ყველა ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა პარაკლისი ხელმწიფე იმპერატორისა და მთლად მისის უავგუსტოესის სახლობის სადღეგრძელოდ. სატახტო ქალაქი ბაირაღებითაა დამშვენებული. საღამოს ქალაქი გაჩირაღდნებული იყო.

**რიგა.** ხელმწიფე იმპერატორის ტახტზედ ასვლის დღეს ყველა ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა. რიგა ბაირაღებით იყო შემოსილი. საღამოზედ ჩირაღდანი გაჰმართეს.

**მოსკოვი.** ყველა ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა პარაკლისი ხელმწიფე იმპერატორისა და მთლად უავგუსტოესის სახლობის სადღეგრძელოდ. ქალაქი ბაირაღებითაა დამშვენებული. საღამოზედ ჩირაღდანი იყო გამართული.

**ჰელსინგფორსი.** ხელმწიფე იმპერატორის ტახტზედ ასვლის დღეს ქალაქი ბაირაღებით იყო მორთული; ეკკლესიებში წირვა გადაიხადეს. საღამოზედ ჩირაღდანი იყო გამართული.

**კონსტანტინეპოლი.** სომხების პატრიარქი ამზადებს მოხსენებას, რომელიც სულთანს უნდა მიართვას. ამ მოხსენებაში აღნიშნულია ხალხის გაჭირვებული მდგომარეობა და იმათთვის შემწეობასა თხოულობს.

23 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** გარეშე საქმეთა მინისტრი პეტერბურგში დაბრუნდა და სამინისტროს მმართვას შეუდგა.

**ლონდონი.** გაზეთს „სტანდარტს“ დეპეშით სწერენ კონსტანტინეპოლიდგან, რომ მინისტრთა უკანასკნელ კრებაზედ სულთანმა განაცხადა განზრახვა—ახალს საფინანსო კომისიას დავნიშნავ და ამ გვარად სრულიად შეიცვლება მმართველობაო.

**ლონდონი.** გაზეთი „ტაიმსი“ სწერს, ნამდვილად ვიცით, რომ კასსალა კვლავ დაპყრობილი იქმნება კიჩნერის მიერ, რომელიც 2,000 კაცს ჰმეთაურობსო.

## განცხადებანი

დაიბეჭდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

ამბავი

ცხოველთა სამეფოსი

შედგენილი ნ. რუბაკინის მიერ

სურათებით

თარგმანი გრ. ყიფშიძისა

ფასი 50 კაპ.

Т-во БРОКАРЪ и К°.

ИЗОБРѢТАТЕЛИ ПАРФЮМЕРИИ

„Персидская сирень“

О-де-колонъ.

Духи. ✻ Мыло.



Просимъ остерегаться поддѣлокъ.

(11—მ—5)

О ПОДПИСКѢ НА ОБЩЕСТВЕННО-ПЕДАГОГИЧЕСКУЮ И ЛИТЕРАТУРНУЮ ЕЖЕНЕДѢЛЬНУЮ ГАЗЕТУ „ЖИЗНЬ И ШКОЛА“ СЪ ПРИЛОЖЕН. „ШКОЛЬНОЕ ОБОЗРѢНІЕ“ (г. X.).

„ЖИЗНЬ и ШКОЛА„ имѣетъ цѣлью служить органомъ абъединенія русскихъ учителей и интересамъ лицъ, стоящихъ близко къ дѣлу образованія въ Россіи, и издается по слѣдующей программѣ:

1) Правительственныя узаконенія и распоряженія, касающіяся образованія въ Россіи.

2) Научно-популярныя статьи (съ чертежами м рисунками).

3) Мелкіе повѣсти и разсказы (бытовые и историческіе), путешествія, очерки и др. подоб. произведенія.

4) Статьи по педагогикѣ, дидактикѣ, методикѣ, училищевѣденію, школьной гигіенѣ. Очерки по народному образованію въ Россіи и на Западѣ.

5) Русская печать о щкольномъ дѣлѣ. Мнѣнія и сужденія печати по педагогическимъ вопросамъ.

6) Библіотечное дѣло въ Россіи и за границей. Организація общественныхъ и школьныхъ библіотекъ и др. образовательныхъ учрежденій для народа.

7) Библіографія. Критика и рецензіи педагогическихъ сочиненій какъ русскихъ, такъ и иностранныхъ, разборъ учебниковъ и пособій. Обозрѣніе періодическихъ изданій какъ общихъ, такъ и спеціальныхъ: научныхъ, педагогическихъ и т. п.

8) Корреспонденціи. Современное обозрѣніе воспитанія и обученія у насъ и за границей.

9) Политическія извѣстія и Новости русской жизни. Обозрѣніе выдающихся событій въ Россіи и др государствахъ.

10) Смѣсь. Наблюденія и замѣтки изъ школьнаго міра. Педагогическія темы.

11) Справочный указатель. Справки и указанія по различнымъ практическимъ вопросамъ учебнаго дѣла и школьнаго быта.

12) Что намъ пипутъ. Письма и сообщенія въ редакцію.

13) Книжный листокъ. Свѣдѣнія о вновь вышедшихъ книгахъ и указатель статей, встрѣчающихся въ повременныхъ изданіяхъ и заслуживающихъ вниманія какъ учителей, такъ и вообще образованнаго читателя.

14) Почтовой ящикъ. Отвѣты редекціи

15) Объявленія. Послѣдния печатаются на первой стр. по 50 к., на послѣдней по 10 к. Подписчики (годовые) печатаютъ *безплатно*.

При газетѣ издается, въ видѣ приложенія, особый сборникъ. подъ заглавіемъ „*Школьное Обозрѣніе*“, въ которомъ помѣщаются статьи, по объему, не удобныя для еженедѣльнаго изданія, а также портреты Августѣйшихъ Особъ и выдающихся дѣятелей въ сферѣ государственной дѣятельности, благотворительности и народнаго образоваія.

Подписная цѣна съ доставкой и перес. **5** руб., за полгода **3** руб., и за три мѣсяца **2** руб., для начальныхъ школъ и учителей **4** руб, за границу **6** руб., за годъ.

Оставшіеся въ небольшомъ количествѣ полные комплекты газеты за 1893 г. и 1894 можно получать за 2 руб., 1895 и 1896 по 3 руб. за годъ. Библіотеки и безплатныя читальни пользуются особой уступкой. Подписчики, пріобрѣтающіе за всѣ годы пользуются, сверхъ того, уступкой 50%.

*Вышедшіе №№ „Школьнаго Обозрѣнія“ и „Жизнь и Шк.“ тек. г., по требованію, высылаются наложеннымъ платежемъ на счетъ конторы.*

Подписка принимается въ главиой Конторѣ „ЖИЗНЬ и ШКОЛА“: С.-Петербургъ Загородный пр., 34.

(3 უ.—2)

Редакторъ-Издатель *М. Е. Виноградовъ.*

## ანგარიში

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა.

1 ოქტომბერს 1897 წლისას.

(საზოგადოებამ დაიწყო თავისი მოქმედება 1895 წლის 17 ივლისს)

**აქტივი.**

| | | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| I. | საზოგადოების კასსა | | 8357 | 58 |
| II. | მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში | | 100 | |
| III. | „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში | | 100 | — |
| IV. | განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი | | 130771 | — |
| V. | განაღდება ვადიან %-იან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხ. | | 315 | 67 |
| VI. | გირაოთი გაცემული სესხი: | | | |
| | ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. | 823—70 | | |
| | ბ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. | 3211—— | 4034 | 70 |
| VII. | საზოგადოების მიმდინარე ხარჯი | | 6854 | 99 |
| VIII. | დასაბრუნებელი ხარჯი | | 211 | 21 |
| IX. | მოწყობა-პომართვა | | 978 | 97 |
| X. | გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი | | 19 | 40 |
| XI. | პროტესტში წასული თამასუქები | | 850 | — |
| XXII. | ანგარიში მოგებისა და ზარალისა | | 1255 | 98 |
| | ს უ ლ | | 153849 | 50 |

**პასსივი.**

| | | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| I. | თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 576 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან | | 63267 | — |
| II. | სათადარიგო თანხა | | 836 | 27 |
| III. | შემოტანილი ფული: | | | |
| | ა) მიმდინარე ანგარიშით | 20347—11 | | |
| | ბ) ვადით | 41590—— | | |
| | გ) უვადოდ | 100—— | 62037 | 51 |
| IV. | მიღებული სარგებელი და კომისიის ფული, გარდახდილს გარდა | | 7787 | 16 |
| V. | გარდასაცემი თანხა | | 2219 | 50 |
| VI. | გარდასახდელი სარგებელი | | 96 | 03 |
| VII. | გადაგირავება თამასუქებისა | | 17600 | — |
| VIII. | სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა | | 6 | 03 |
| | ს უ ლ | | 153849 | 50 |
| | პასუხის-მგებლობა 576 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდა | | 569403 | — |
| | საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება | | 11200 | — |
| | თამასუქები საკომისიოდ | | 750 | — |

(1—ნ—1)